

ი.მ. რობერტ ოვანესიანის
„სასტუმრო კრონ პალას თბილისი“
ფინანსური ანგარისგება
2018 წლის 31 დეკემბერი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების დროს-----	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	2
მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება-----	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება-----	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებები -----	5

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა
და დამტკიცების დროს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ი.მეწარმე პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, რომელიც სამართლიანად ასახავს მეწარმის მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მეწარმის პასუხისმგებლობა შეაფასოს აქვს თუ არა მეწარმეს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობის განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მეწარმე პასუხისმგებელია:

- შეარჩიოს შესაბამის სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოამზადოს გონივრული დასკვნები და შეფასებები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ბიზნესის უწყვეტობის საფუძველზე.

მეწარმე ასევე პასუხისმგებელია

- შეიმუშაოს, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური შიდა კონტროლი;
- შეინახოს სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერები;
- გამოავლინოს და თავიდან აიცილოს შეცდომები და სხვა დარღვევები.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მეწარმის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ი.მ. რობერტ ოვანესიან „სასტუმრო კრონ პალას თბილისი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერი

	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები	3275252	3425739
სხვა გრძელვადიანი აქტივები	379148	413386
სხვა არამატერიალური აქტივები	58359	45722
მიმდინარე აქტივები		
ფული	10646	126925
სასაქონლო მატერიალური მარაგები	21793	28020
გადახდილი ავანსები	39576	103397
სულ აქტივები	3784774	4143189
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	83158	78665
მიღებული ავანსები	21025	47657
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		4000
საგადასახადო ვალდებულებები		91364
სულ ვალდებულებები	104183	221686
კაპიტალი და რეზერვები		
საკუთარი კაპიტალი	3072291	3111503
გაუნაწილებელი მოგება(ზარალი)	608300	810000
სულ კაპიტალი	3680591	3921503
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3784774	4143189

ი.მ. რობერტ ოვანესიან „სასტუმრო კრონ პალას თბილისი“
2018 წლის 31 დეკემბრისთვის საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო წელი	წინა საანგარიშგებო წელი
ნეტო ამონაგები		
შემოსავალი მომსახურებიდან	2456183	3033540
სხვა	150200	130369
რეალიზებული პროდუქციის		
თვითღირებულება	313940	424607
საწყისი მარაგები	28019	76359
მარაგების შესყიდვა	307758	376267
საბოლოო მარაგები	21837	28019
საერთო მოგება	2292443	2739302
დასაქმებულთა ანაზღაურება	866230	957943
ცვეთა და ამორტიზაცია	242736	288977
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	423073	479882
სულ საოპერაციო ხარჯები	1532039	1726802
მოგება(ზარალი)	760404	1012500
მოგების (საშემოსავლო) გადასახადი	152081	202500

ი.მ. რობერტ ოვანესიან „სასტუმრო კრონ პალას თბილისი“
2018 წლის ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო წელი	წინა საანგარიშგებო წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-116279	65569
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქ-დან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	-116279	65569
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	126925	61356
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10646	126925

ი.მ. რობერტ ოვანესიან „სასტუმრო კრონ პალას თბილისი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2018 წლის 31 დეკემბერი

შესავალი

რობერტ ოვანესიანი სასტუმრო კრონ პალას თბილისი წარმოადგენს ინდივიდუალურ საწარმოს რომელიც შექმნილია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ი.საწარმო რეგისტრირებულია 2012 წლის 27 სექტემბერს, რომლის იურიდიული მისმართია ქ.თბილისი, დიდი ხეივანის ქ. N13-ის მიმდებარედ./ ხეივანის ქ. N12, მიმდებარედ. ი. მეწარმის ძირითად საქმიანობაა „სასტუმრო“, მეწარმის მიზანს წარმოადგენს სასტუმროს ქსელის შექმნას როგორც თბილისში ასევე აჭარის რეგიონში.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ი.მეწარმის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „მეწარმე“ ეწევა საქმიანობას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „მეწარმე“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარში არის დამრგვალებული, ხოლო უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	31.12.2018	31.12.2017
1 დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044
1 ინგლისური ფუნტი/ლარი	3.3955	3.5005
100 რუსული რუბლი/ლარი	4.4935	3.8588

შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე.

საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა არის იგივე სადაც ის ეწევა ეკონომიურ საქმიანობას. საწარმოს ფუნქციონალური და საპროცენტო ვალუტა არის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ი.მ-ის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულით საწარმოს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისაგან.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომელსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ან არის მშენებარე მდგომარეობაში.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება მომსახურებითა და აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარისებში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებულ ნაშთთა მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე.

ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში, ქატივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასიცოცხლო პერიოდი
შენობა ნაგებობები	50-100 წელი
მანქანა დანადგარები	10-20 წელი
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5-10 წელი

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ანსავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია მეწარმის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

მოგების (საშემოსავლო) გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით.

ბიზნეს გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო ტავისუფალი საბაზრო ეკონომიკისთვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

ნებისმიერი კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში, შეიძლება შეეხოს საქართველოსთან მოთანამშრომლე ქვეყნებს, რამაც გავლენას იქონიებს საქართველოში ტურისტულ ბიზნესს რაც უშუალოდ დაკავშირებულია „სასტუმროს“ ბიზნესთან, ყველა ამ პრობლემამ შეიძლება მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას ლიკვიდურობის თვალსაზრისით, და შეიძლება დადგეს მისი სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. უფრო რთული საბაზრო და პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკა სასტუმროთი მომსახურეობის მდგომარეობა, შეიზღუბა გაუარესდეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მაჩვენებლები მრავლადაა, მეწარმეს არ შეუძლია გააკეტოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა. შესაბამისად მეწარმის ფინანსური ანგარიშგებები არ მოიცავს კორექტირებებს, რომელიც შეიძლება ჩათვლილიყო საჭიროდ ზემოთხსენებული ფაქტორების შემთხვევაში.

გადასახადები

ი. მეწარმეს სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა გადასახადებს დროულად და მთლიანად იხდის.

გარემოს დაცვა

ი.მეწარმის აზრით, მეწარმის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოტხოვნებს გარემოს დაცვის საკითხში. შესაბამისად მიიჩნევს, რომ „სასტუმროს“ არ აქვს გარემოს დაცვით რეგულაციებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რაიმე მიმდინარე ვალდებულება. საქართველოში გარემოს დაცვით კანონმდებლობაში მიმდინარეობს ცვლილებები, რაც არ გამოორიცხავს შემდგომში ახალი კანონმდებლობით განპირობებული ვალდებულებების წარმოქმნას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არსებითი გავლენა ექნება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.